ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3906721

ნომერი: AR1579232

თარიღი : 21.02.2018

გაცემის თარიღი : 11.04.2018

გაცნობის თარიღი : 11.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გამზირი ფარნავაზი, -ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია ახალკაცი პ/ნ 01001069604
- თბილისი მ.იპოლიტოვ-ივანოვის I გას. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
1 მოთხოვნის შინაარსის ტექსტურ ნაწილში დეტალურად ასახეთ ინფორმაცია რა სახის სამუშაოები გაქვთ დაგეგმილი (დააფიქსირეთ ინფორმაცია მესაკუთრეთა ვინაობის შესახებ და მიუთითეთ ასევე ამ ნაკვეთების საკადასტრო კოდები წილობრივი მონაცემებით);
2 წარმოდგენილი იქნას სიტუაციური გენ-გეგმა საკადასტრო კოდების ფიქსაციით და გაითვალისწინეთ, რომ სამსახური შესაბამის თანხმობას გასცემს მხოლოდ კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთის არეალში, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთის არეალში სამუშაოების განხორციელებისათვის უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სამუშაოების განხორციელება ხდება საკადასტრო საზღვრებში, I კლასის მახასიათებელ ლანდშაფტური მშენებლობის კუთხით, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ» 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად 66– მუხლის მე3 პუნქტის ჩანაწერის მიხედვით : 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„დ“ და ,,ვ“–„კ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან/და მოსარგებლე ვალდებულია, გან-ცხადებაში ასახოს ინფორმაცია მიწის ნაკვეთის რეგის¬ტრაციის შესახებ, ხოლო ,,ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში განცხადებას დაურთოს მიწის ნაკვეთის საკუთ-რების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. (8.02.2011 N 71).
სამონტაჟო ტერიტორიის, მიწის ნაკვეთის ან/და არსებული ხაზობრივი ნაგებობ(ებ)ის მესაკუთრეთა ან/და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობა, საზოგადოებრივი სივრცის გამოყენების შემთხვევაში _ ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანხმობა.
. ლანდშაფტური მშენებლობისას განცხადებას თან უნდა დაერთოს: (10.09.2010 N 280)
ა) მიწის ნაკვეთის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) ხენარგავების ინვენტარიზაციის გეგმა (განმარტებითი ბარათით და ხენარგავების აღწერის მონაცემთა ცხრილით);
გ) დენდროპროექტი;
დ) ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი ლანდშაფტის კეთილმოწყობის გეგმა (მასშტაბი 1:2000).

- საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონითდადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველ

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.